

რას გვპირდება ახალი საგადასახადო კოდექსი?!

საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, ჩემის აზრით, სერიოზულ დამუშავებასა და სრულყოფას მოითხოვს. პროექტში ბევრი მუხლი და პუნქტი გაუგებარი და ბუნდოვანია, მეტიც, არის ურთიერთსაწინააღმდეგო მუხლებიც. ისეთი მთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს ყველაფერი შეგნებულადაა გაკეთებული, რომ საგადასახადო ინსპექტორს საშუალება ჰქონდეს ყოველთვის გამოედავოს გადასახადის გადამხდელს.

ახალი საგადასახადო კოდექსი მთელი რიგი საკითხების დადგენას, რომლებიც მოქმედ საგადასახადო კოდექსში ისედაც დადგენილია, ავალებს საქართველოს მთავრობას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რაც მიზანშეწონილი ნამდვილად არ არის, სჯობს, არ ავჩქარდეთ დავადგინოთ ის, რაც საჭიროა და პასუხისმგებლობას სხვას ნუ გადავულოცავთ!

სურვილი მაქვს გამოვთქვა საკუთარი მოსაზრება აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, კერძოდ:

- პროექტიდან მთლიანად ამოღებულია ადგილობრივი გადასახადების, მიწაზე ქონების გადასახადის საბაზისო განაკვეთები და მისი დადგენა დავალებული აქვს საქართველოს მთავრობას, რაც ჩემის აზრით, დიდი დანაკლისი იქნება ახალი საგადასახადო კოდექსისთვის. მიზანშეწონილად მიმაჩნია, მიწაზე ქონების გადასახადის საბაზისო განაკვეთები დარჩეს ისე, როგორც ეს მოქმედ საგადასახადო კოდექსშია. თუ გადასახადის საბაზისო განაკვეთების გაზრდა, ან შემცირებაა საჭირო, ეს გაკეთდეს ახალ კოდექსში.

- მოქმედ საგადასახადო კოდექსში 2009 წლის ივლისამდე მიწა დღგ-ს მიზნებისთვის არ განეკუთვნებოდა საქონელს. 2009 წლის ივლისიდან კი ფორმულირება შეიცვალა და მიწა მიეკუთვნა საქონელს. ახალ საგადასახადო კოდექსში მიწა მიეკუთვნებულია საქონელს, რაც ჩემის აზრით, არასწორია და დღგ-ს მიზნებისთვის მიწა არ უნდა ეკუთვნოდეს საქონელს. აქედან გამომდინარე, მე-13 მუხლის, მე-2 პუნქტს უნდა და-

ემატოს სიტყვა „მიწა“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დღგ-ს მიზნებისთვის საქონელს არ განეკუთვნება ფული და მიწა“

- მოქმედი საგადასახადო კოდექსის 47 მუხლისა და ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის მუხლი 46-ის, პირველი პუნქტის თანახმად, საგადასახადო ორგანოს განმარტებას არა აქვს იურიდიული ძალა და იგი მხოლოდ რეკომენდაციას წარმოადგენს. ეს მუხლი წარმოშობს დავებს, ხელს უწყობს საგადასახადო მუშაკების თვითნებობას და რაც მთავარია, კორუფციის აშკარა წყარო ხდება. ისმება ლოგიკური კითხვა: რატომ არ უნდა ჰქონდეს საგადასახადო ორგანოს განმარტებას იურიდიული ძალა? აქედან გამომდინარე, აუცილებლად მიმაჩნია საგადასახადო კოდექსის პროექტის 46 მუხლის პირველი პუნქტიდან ამოღებული იქნას შემდეგი წინადადება: „აღნიშნული განმარტება წარმოადგენს რეკომენდაციას და მას არა აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა.“



ანზორ მახიტაშვილი,

„პროფესიონალ კონსულტანტთა ჯგუფის“ მთავარი კონსულტანტი, დამოუკიდებელი ექსპერტი უძრავი ქონების (მიწის) საკითხებში, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ბიზნეს უნივერსიტეტის სრული პროფესორი

- მე-18 მუხლი მოითხოვს დაკონკრეტებას (დაზუსტებას), რადგან, გაურკვეველია, როგორ განსაზღვროს ფიზიკურმა პირმა რეალიზაციით მიღებული ნაშთი, რომელსაც 1953 წელს მიღებული ჰქონდა ბინა (სახლი) და ახლა ჰყიდის მას?!

- მე-19 მუხლის, მე-3 პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტი მოითხოვს გარკვევას, რას ნიშნავს: „ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, როგორც მშობლები და შვილები“?, ასევე გაურკვეველია, ამავე მუხლის მე-7 პუნქტში, როგორ უნდა დაამტკიცოს ორმა კომპანიამ, რომ არ არიან ურთიერთ დამოკიდებული პირები?

- 61-ე მუხლის, მე-2 პუნქტში, ციფრი 20 შეიცვალოს ციფრი 60-ით, რადგან, საგადასახადოს გადახდის ვადა მცირეა. ეს მაშინ, როცა ზედმეტად გადახდილ თანხას ფიზიკურ პირს, საგადასახადო ორგანო უბრუნებს სამი თვის ვადაში. შესაბამისად, 65-ე მუხლის, მესამე პუნქტში 20 დღის ნაცვლად დადგინდეს 60 დღე.

- 70-ე მუხლის მე-2 პუნქტში გაურკვეველია – რა შემთხვევაში იგულისხმება ახალი ქონების შექმნა. ეს პუნქტი უნდა დაზუსტდეს.

- 82-ე მუხლის გაცნობისას, თუ არ გაეცანი 280 მუხლის პირველ პუნქტს, გამოდის, რომ 2010-2012 წლებში საშემოსავლო გადასახადი ტოლია 15%-ის. სწორი იქნება 82-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 2011 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 იანვრამდე 20%-ით. 2013 წლის 1 იანვრიდან, 2014 წლის 1 იანვრამდე 18%-ით“. აქედან გამომდინარე, გარდამავალი და დასკვნითი დებულების 280 მუხლის პირველი პუნქტი უნდა ამოღებული იქნას.

- ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის 83-ე მუხლის შესაბამისად, 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მიწოდებით მიღებული ნამეტი იბეგრება. მოქმედი კოდექსის შესაბამისად კი 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მიწოდებით მიღებული ნამეტი არ იბეგრება. რა გამოდის? ჩვენ ვამბობთ, რომ გადასახადებს ვამცირებთ, სინამდვილეში ვზრდით. ასეთივე მდგომარეობაა მიწის ნაკვეთის მიწოდების (რეალიზაციის) დროს. მოქმედი კოდექსით არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მიწოდება არ იბეგრება, ახალი კოდექსის პროექტით კი იბეგრება 2 ჰექტარზე მეტი მიწის მიწოდება. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია 83-ე მუხლის, „ვა“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწის) მიწოდება.“ მუხლი 83-დან პუნქტები „ვბ“ და „თ“ ამოღებული იქნას.

- 83-ე მუხლის „ლ“ პუნქტიდან ამოღებული იქნას სიტყვები:

„2012 წლის 1-იანვრამდე.“ რადგან, რაც საგადასახადო კოდექსი იქნა მიღებული ყოველწლიურად შედის ცვლილება და ერთი წლით თავისუფლდება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ფიზიკური პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტის პირველადი მიწოდებით მიღებული შემოსავალი და დაქირავებული ფიზიკური პირისთვის გაცემული ანაზღაურება, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ ფიზიკური პირის მიერ აღნიშნული მიწოდებით მიღებული შემოსავალი არ აღემატება 100 000 ლარს.

- ახალ საგადასახადო კოდექსის პროექტში გაურკვეველია ამხანაგობის მიერ მის წევრებზე (თანამფლობელებზე) ქონების გადაცემით მიღებული შემოსავლების დაბეგვრის საკითხი. აქედან გამომდინარე, დასაზუსტებელია 83-ე მუხლის, პირველი პუნქტის, „ყ“ ქვეპუნქტი.

- დაზუსტებას მოითხოვს 83-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „ბა“ ქვეპუნქტი რადგან, აქტივის ფასი, მასზე საკუთრების უფლების წარმოშობის დროს, მისი შექმნის ფასი უმეტეს შემთხვევაში არ არის დადგენილი.

- გაურკვეველია 83-ე მუხლის „თ“ პუნქტში, რატომ არის შემოტანილი წინადადება: „ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება.“

- თავი XII „საშემოსავლო გადასახადის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები“ მთლიანად უნდა შეიცვალოს ანზორ საკანდელიძის წინადადებების გათვალისწინებით. (ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2010 წელი, მისი, „ალტერნატიული, მაგრამ ჯერ კიდევ დასახვენი“ მიკრო, მცირე და საშუალო მენარმეებისთვის საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, რასაც მთლიანად ვეთანხმები).

- 208-ე მუხლის, პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს უნდა დაემატოს სიტყვა: „საძოვარი“, რადგან, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კატეგორიებია: სახნავი, მრავალწლიანი ნარგავები, სათიბი და საძოვარიც.

- მუხლი 208-ე, პუნქტი „ვ“ სიტყვა „საძოვრებისთვის“ უნდა შეიცვალოს: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის საშუალო განაკვეთით“. რადგან, ლიცენზიების გაცემა ხდება, როგორც საძოვარ მიწებზე, ასევე სახნავზეც და სათიბზეც.

- მოქმედი საგადასახადო კოდექსით, ფიზიკური პირის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა განთავსებულია მიწაზე ქონების გადასახადისგან, თუ ფიზიკური პირის ოჯახის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი არ აღემატება 40 000 ლარს. ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტით კი ფიზიკური პირის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა იბეგრება მიწაზე ქონების გადასახადისგან, რაც ჩემის აზრით, ეს არ არის კოდექსის ლიბერალიზაცია. 211-ე მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტი უნდა დარჩეს მოქმედი საგადასახადო კოდექსის ვარიანტით და ეს პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონება (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გარდა), თუ ამ პირის ოჯახის მიერ მიმდინარე კალენდარული წლის წინა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი არ აღემატება 40 000 ლარს“.

- დაზუსტებას მოითხოვს 211-ე მუხლის, პირველი პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტი, რადგან გასარკვევია, როდესაც ფიზიკური პირი ცხოვრობს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში (კორპუსი) არის ქონების გადასახადის გადამხდელი - (40000 ლარზე მეტი შემოსავლის მქონე) თანასაკუთრებაში არსე-

ბული ფართობის პროპორციულად განსაზღვრული დაბეგრის ობიექტზე (მინის ფართობზე, რომელიც 30 კვ.მ.-ზე მეტია) იხდის მინაზე ქონების გადასახადს, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის წითელი საზღვრის ფარგლებში აქვს საკუთარი ავტოფარეხი, რომელიც სხვა ავტოფარეხებთან ერთად სივრცობრივად დაკავშირებულია მრავალბინიან საცხოვრებელ სახლთან. მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში მცხოვრების ბინა და მის საკუთრებაში არსებული ავტოფარეხი რეგისტრირებულია ერთ მისამართზე საჯარო რეესტრში. ავტოფარეხის მიერ დაკავებულ მინის ნაკვეთზე გავრცელდება თუ არა საგადასახადო კოდექსის 211-ე მუხლის პირველი პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტი? იმ შემთხვევაში თუ ავტოფარეხზე არ გავრცელდება საგადასახადო კოდექსის 211-ე მუხლის პირველი პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტი, მაშინ როგორ იანგარიშება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (კორპუსი) მაცხოვრებ-

ლის საკუთრებაში არსებული, წითელ საზღვრში მოქცეული ავტოფარეხის მინის ფართობი? (ფაქტიურად დაკავებული ფართის მიხედვით, თუ დაკავებული ფართობის პროპორციულად?). მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით და საგადასახადო მუშაკების განმარტებით ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული ავტოფარეხით დაკავებულ მინის ნაკვეთზე, როდესაც მინის ნაკვეთი საერთო საკუთრებაა, ერთ და იმავე მინაზე ფიზიკური პირი ორჯერ იხდის გადასახადს. თუ კორპუსის წითელ საზღვრში მოქცეულია ხუთი ავტოფარეხი, ხუთივე მფლობელი არის ქონების გადასახადის გადამხდელი (40 000 ლარზე მეტი შემოსავლის მქონე) გამოდის, რომ ერთ და იმავე მინაზე ათჯერ (ათმაგად) იხდიან გადასახადს (!)

- 210-ე მუხლი შეიძლება ისე გავიგოთ, რომ სანარმო მინაზე გადასახადს იხდის ერთ შემთხ-

ვევაში 1 აპრილამდე, ხოლო, მეორე შემთხვევაში 15 ნოემბრამდე. ამდენად, აღნიშნული მუხლი საჭიროა დაზუსტდეს.

- 211-ე მუხლის, 1 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტში სიტყვების: „სათიბები, საძოვრები“ შეიცვალოს „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები“, რადგან, გამოუყენებელი სახელმწიფო მიწები არის სახნავიც და მრავალბინიანი ნარგავებიც.

- 276-ე მუხლის, მე-2 პუნქტის სიტყვები ათი დღე შეიცვალოს 30 დღით. რადგან, გადანყვეტილების გასაჩივრებას ხშირ შემთხვევაში ადვოკატის აყვანა, საბუთების მოძიება და შესწავლა სჭირდება.

- 205-ე მუხლის, მე-5 პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტი უნდა შეიცვალოს და დასაბეგრი გადასახადის წლიური განაკვეთი დადგინდეს, როგორც ეს იყო 2009 წლამდე მოქმედ საგადასახადო კოდექსში. „100 000 ლარისა და მეტი შემოსავლების მქონე ოჯახებისათვის-საგადასახადო პერიოდის ბოლოსათვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.4 პროცენტისა და არა უმეტეს 0.8 პროცენტისა.“ არადა, ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის მიხედვით არის არანაკლებ 0.8 პროცენტისა და არა უმეტეს - 1 პროცენტისა.

- როგორც მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ასევე, ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის მთელ რიგ მუხლებში გამოყენებულია კოდექსის სხვადასხვა რამდენიმე მუხლი და სხვადასხვა რამდენიმე პუნქტი, რაც ართულებს კოდექსის მუხლის აღქმასა და გაგებას. ჩემის აზრით, კოდექსის მუხლში დასახელებული სხვა მუხლისა და პუნქტის ნაცვლად დაინეროს ის, რაც იმ მუხლსა და პუნქტში იგულისხმება. ეს არ გადატვირთავს მუხლს – პირიქით, გაადვილებს კოდექსის მუხლის გაგებასა და გამოყენებას.

